



№ 18/178-15



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

25 თებერვალი 2015 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ
ნათია კაპანაძის მდივნობით,

პროკურორ - ნინო ციხისელის,
ადვოკატ - გ. მ.-ს,
არასრულწლოვანი ბრალდებულის - ბ. ტ.-ს
და მისი კანონიერი წარმომადგენლის - გ. ტ.-ს მონაწილეობით,

სასამართლო სხდომაზე, ზეპირი მოსმენით, განვიხილე ბრალდებულ ბ. ტ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინებაზე, ბრალდებულის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ.-ს საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შს სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს წარმომადგენელის სისხლის სამართლის №XXXXXXXXXXXX საქმე ბრალდებულ ბ. გ.-ს ძე ტ.-ს (დაბ.: XXXX წლის XX თებერვალს, პ/ნ XXXXXXXXXXXX) მიმართ.

ბ. ტ.-ს 2015 წლის 19 თებერვალს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდში) - გამოძალვისათვის, ე.ი სხვისი ნივთის მოთხოვნისათვის, რასაც თან ერთვის დაზარალებულის სახელგამტეხი ცნობის განმარტების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რამაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მისი უფლებები (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

საქმის მასალების მიხედვით ბრალად წარედგინილი ქმედება გამოიხატა მასში, რომ ბ. ტ.-მ გამოძიებით დაუდგინელ დროსა და ვითარებაში სოციალურ ქსელ "facebook"-ში მის მიერ გამოგონილი ვინმე "elisabed orbliani"-ის სახელით შექმნა გვერდი, საიდანაც 2015 წლის 14 თებერვალს, როგორც სამოძიებო სტუდიის



„კ.-ს“ მენეჯერი დაუკავშირდა ს. მ.-ს და შესთავაზა, რომ თუ სურვილი ექნებოდა „ონლაინ“ კონკურსისთვის მისთვის ფოტოსურათები გადაეგზავნა და შერჩევის შემთხვევაში გარკვეული ფულადი თანხის ანაზღაურებას დაჰპირდა. ყოველივე აღნიშნული ს. მ.-მ ირწმუნა, დაეთანხმა შემოთავაზებას და მეორე დღეს, 2015 წლის 15 თებერვალს, სოციალური ქსელის საშუალებით საცურაო კოსტუმში გადაღებული 5 ფოტოსურათი და პირადი მონაცემები გადაუგზავნა ბ. ტ.-ს. ამ უკანასკნელმა, მოქმედებდა რა დანაშაულებრივი განზრახვით, ს. მ.-ს განუცხადა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული იყო ტყუილი, მის მიერ მოგონილი და ფულადი თანხის, 100 ლარის გადაცემა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ აღნიშნულ ფოტოსურათებს მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში და სკოლაში გაავრცელებდა, ასევე აღნიშნულის თაობაზე მის მშობლებს შეატყობინებდა. მუქარა, ს. მ.-მ რეალურად აღიქვა და 2015 წლის 17 თებერვალს, თბილისში, „ქართლის დედის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა ბ. ტ.-ს, რა დროსაც გადასცა ფულადი თანხა 50 ლარის ოდენობით. მსგავსი შინაარსის შეთავაზებაზე ბ. ტ.-მ თანხმობა მიიღო ასევე ქ. ბ.-საგან, რომელსაც ასევე მოსთხოვა ფულადი თანხის 100 ლარის გადაცემა ან „სკაიპში“ ვიდეო თვალის წინ გაშიშვლება და უხერხული მდგომარეობების მიღება. ამ უკანასკნელმა დააკმაყოფილა ბ. ტ.-ს ბოლო მოთხოვნა, რის შემდეგაც მას ბ. ტ.-მ კვლავ მოსთხოვა თანხის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა, რომ ფოტოსურათებს და შემდგომ მის მიერ ვიდეო თვალთვალში გადაღებულ ვიდეოს მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში და სკოლაში გაავრცელებდა, ასევე შეატყობინებდა მის მშობლებს. ბ. ტ.-ს, ბ. ტ.-ს მუქარა, რომელიც არსებითად დააზიანებდა მის უფლებებს, რეალურად აღიქვა და 2015 წლის 13 თებერვლიდან 2015 წლის 17 თებერვლის პერიოდში სხვადასხვა დროს მას გადასცა 70 ლარის ოდენობით ფულადი თანხა და „canon“-ის ფირმის ციფრული ფოტოკამერა (დაზარალებულის განმარტებით ღირებული 200 ლარად).

აღნიშნულ საქმეზე, 2015 წლის 19 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ნინო ციხისელმა, ბრალდებულ ბ. ტ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინებით ბრალდებულ ბ. ტ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრა ბრალდებულ ბ. ტ.-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. მ.-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა ან აღკვეთის ღონისძიების სახით 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება.

საჩივარში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებისა და მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე, დაარღვია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეში არსებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებები სწორედ ბ. ტ.-ს აღიარებითი ჩვენებითა და გამოძიებასთან თანამშრომლობითაა მოპოვებული. ამდენად, სრულიად უსაფუძვლოა მტკიცება იმისა, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ბ. ტ. ხელს შეუშლის გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, დაიმალება, ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. სასამართლოს მიერ მითითებული საფრთხეები ზოგადია და არ ეფუძნება რაიმე კონკრეტულ და არსებით გარემოებებს. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა არასრულწლოვანის ასაკი, საქმიანობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა. კერძოდ ის,



რომ ბ. ტ. არის მე-11 კლასის სკოლის მოსწავლე, სწავლობს კარგად, ცხოვრობს მამასთან, დასთან და ბებიასთან ერთად, პირველადაა კანონთან კონფლიქტში, ჩადენილი ქმედება ნაკლებად მძიმე კატეგორიისაა, რომლის ჩადენასაც აღიარებს სრულად და ინანიებს. ამასთან, ბ. ტ. მეზობლების მიერ ხასიათდება დადებითად, არის ქართული ხალხური ცეკვების მოცეკვავე და არაერთი დიპლომისა და სიგელის მფლობელი.

საჩივრის განხილვის დროს ბრალდებულ ბ. ტ.-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ვ. მ.-მ მხარი დაუჭირა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნას საჩივარში მითითებული საფუძვლებით და მოითხოვა არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის მამას - ვ. ტ.-ს, რომელიც არის დასაქმებული (მუშაობს დ. პ.-ში) და აქვს შესაძლებლობა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს შვილს, ითხოვს, რომ ბრალდებულ ბ. ტ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩეს მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა. ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ ბრალდებული და მისი ოჯახი გამოხატავს დაზარალებულებისათვის ზიანის ანაზღაურების სურვილს.

ადვოკატის მოთხოვნას დაეთანხმა ბრალდებულის კანონიერი წარმომადგენელი ვ. ტ.-ს, რომელმაც გამოთქვა თანხმობა ბ. ტ.-ს მის მეთვალყურეობაში გადაცემასთან დაკავშირებით და დამატებით განმარტა, რომ მუშაობს დ. პ.-ში, ძალიან რცხვენია მისი შვილის საქციელის. ამჟამად შვილებთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში თბილისში, მაგრამ არის დასაქმებული, აქვს შემოსავალი, გარდა ამისა გააჩნია უძრავი ქონება სოფელში, სადაც ასევე აქვს ხეხილის (ატმის) ბაღი, რაც მის ოჯახს დამატებით შემოსავალს აძლევს. ჰყავს მეორე შვილიც, გოგონა (20 წლის), რომელიც არის სტუდენტი, ხოლო შვილების აღზრდაში ასევე ეხმარება ზავშეების ბებია, მეუღლე კი იმყოფება საზღვარგარეთ.

ბრალდებული ბ. ტ. დაეთანხმა ადვოკატის პოზიციას და დამატებით განმარტა, რომ სრულად აღიარებს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას და ითავისებს მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათს. აღნიშნული ქმედებები ჩაიდინა განზრახ, თუმცა სრულად არ აცნობიერებდა თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მას და არც იმაზე ფიქრობდა თუ რა შეურაცხყოფას აყენებდა დაზარალებულებს. აღნიშნულზე დაფიქრდა მას შემდეგ, რაც იმყოფება პატიმრობაში, რასაც გულწრფელად ინანიებს.

ბრალდების მხარემ, პროკურორმა ნინო ციხისელმა განმარტა, რომ ბრალდებულმა დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინა განზრახ, არ თანამშრომლობს გამოძიებასთან და არ მიუთითებია ფოტოაპარატის გამოძალვის თაობაზე, დაზარალებულებისათვის მიყენებულია, როგორც მატერიალური ისე მორალური ზიანი, ამასთან სოციალურ ქსელში მას ასევე დამეგობრებული ჰყავს სხვა გოგონებიც, რომლებსაც ასევე გაუგზავნა მსგავსი შინაარსის შეტყობინებები და გამოძიების მიერ დასაადგენია, კიდევ ხომ არ ჰქონდა ადგილი სხვა დანაშაულებრივ ქმედებასაც. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ დანაშაულის ხასიათის, ბრალდებულის ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულის დედა იმყოფება საზღვარგარეთ, არსებობს ბ. ტ.-ს მიერ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების (ახალი დანაშაულის ჩადენის), მტკიცებულებათა განადგურების და ასევე პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედებისა და მიმალვის საფრთხეები, რის გამოც ითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების ძალაში დატოვებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი, მოისმინა დაცვისა და ბრალდების მხარის, ასევე ბრალდებულის (მისი კანონიერი წარმომადგენლის) განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გააანალიზა არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების



სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბრალდების მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-206-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

განჩინების გაცემისას სასამართლომ გამოიკვლია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, როგორც ფორმალურ, ისე ფაქტობრივ საფუძველთა არსებობა და მიიჩნია, რომ ბრალის დადგენილებაში მითითებული მტკიცებულებები და საქმეში არსებული სხვა მასალები, გამოძიების ამ ეტაპზე იძლევა საკმარის საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებულ ბ. ტ.-ს წარდგენოდა ბრალი აღნიშნული ინკრიმინებული დანაშაულისათვის და სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის დაკავებისას, მისი ბრალდებულად ცნობისას ან მტკიცებულებათა მოპოვებისას საპროცესო კანონის მოთხოვნები არ დარღვეულა.

გასაჩივრებულ განჩინებაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ ბრალდებულ ბ. ტ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს პატიმრობა, რადგან თავიდან იქნას აცილებული ჩასატარებელ რიგ საგამოძიებო მოქმედებათა კანონშესაბამისი განხორციელებისათვის ხელის შეშლა. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ვარაუდი, რომ ბრალდებული თავისუფლებაში ყოფნისას განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას, რასაც მინიშნებს ქმედების ხასიათი, მისი დამოკიდებულება საქმის გარემოებებთან და აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელია ბრალდებულის არა ადეკვატურობა. ასევე, ბრალდებულს ჰყავს დედა საზღვარგარეთ, რაც სასამართლოს აზრით ზრდის ბრალდებულის მიმალვის რისკებს. სასამართლომ განჩინებაში აგრეთვე მიუთითა, რომ საქმეზე დასაკითხია არაერთი პროცესის მონაწილე, რომლებზეც შესაძლებელია ბრალდებულის მხრიდან განხორციელდეს ზემოქმედება, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებისათვის ხელშეშლის მიზნით. ამასთან, მტკიცებულებების გადამალვა განადგურების ფაქტიც არის რეალური, გამოსაძიებელი საქმე კი ხასიათდება სირთულით, რაც პირდაპირ უკავშირდება მტკიცებულებების ხარისხს და მათი მოპოვების ხანგრძლივობას.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის საკმარის ფაქტობრივ საფუძველს პირის ბრალდებისა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობა იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლებელია ბრალდებულ ბ. ტ.-ს ჩადენილი ჰქონდეს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული. დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. ამდენად, ბრალდებულ ბ. ტ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლებიდან.



აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფორმალური საფუძვლების შემოწმების შემდეგ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს, თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის სტადიებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა, რომ - ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღკვეთის მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილი იქნას განაჩენის აღსრულება - შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური.

საკითხის განხილვისას, საგამოძიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების, ისე ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა ნათლად მოწმობს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო ბუნებაზე, რომლის გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის (*Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial, para.1*). ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისთვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეული იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმა ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს თუ რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ამასთან, სასამართლოსთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს, ამ უკანასკნელის უფლებამოსილებაზე, პატიმრობა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია. სასამართლოს აქვს ვალდებულება აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, თუ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, მაშინ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ არის მართლზომიერი. ხოლო, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე ყველა შემთხვევაში უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი და პროპორციული.

ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები, რომლის მიხედვითაც დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე თავისთავად არ ამართლებს პირის ხანგრძლივ პატიმრობას (*ECtHR 23 September 1998, I.A. v. France, No. 28213/95, para.104*). პატიმრობის



გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში მოხდება. განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა საქმის გარემოებები მიუთითებენ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობაზე და აღნიშნული, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაძლევის ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას (ECtHR 12 March, 2009, Aleksandr Makarov v. Russia, No.15217/07, para. 116). რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ცალსახდა განმარტა, რომ მიმალვის საფრთხე შეიძლება გონივრულად დადგინდეს ისეთ ფაქტორებზე მითითებით როგორცაა ის, რომ პირს ადრეც უცდია კანონიერი სასჯელისათვის თავის არიდება, არსებობს მიმალვის გეგმის კონკრეტული ნიშნები ან სხვა გარემოებები და მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე მითითება არ წარმოადგენს მიმალვის საფრთხის გამართლების საშუალებას თუ მას სხვა ფაქტობრივი გარემოებებიც არ ასაბუთებს (Stögmüller v. Austria).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ეროვნულ დონეზე რეგულირების შეფასების საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ტექსტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადაგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა, ამასთან, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში, ხოლო გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას პროცესზე გამოცხადების გარანტიებით, და, მეორე მხრივ - ევროპული სასამართლოს განმარტებები, რომლებმაც უფრო ცხადი გახადა პირის თავისუფლებაში ჩარევის შინაარსი და ფარგლები და რომელთა მიხედვითაც, პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება განხილული უნდა იქნას, ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და, მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. მხოლოდ ეჭვის (ვარაუდის) არსებობა პირის მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, პროცესის მონაწილეებზე შესაძლო ზემოქმედების ან მტკიცებულებათა განადგურების თაობაზე, ვერ გადაწონის თავისუფლების სასარგებლოდ არსებულ პრეზუმფციას, სანამ უტყუარი, რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით არ იქნება დადასტურებული თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდაუვალობა. ამასთან, ზემოაღნიშნულზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობა შესაძლოა იყოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, მაგრამ პირისათვის აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე მხოლოდ პატიმრობაში ყოფნის საჭიროება, აუცილებლად მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დასაბუთებული, მითუმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სახეზე გვყავს არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელთა მიმართებაშიც საკითხის გადაწყვეტა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

საგამომიებო კოლეგია განმარტავს, რომ სასამართლომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის, რომ არასრულწლოვანი საზოგადოების ჯგუფის წევრს წარმოადგენს, მისი განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია, ხოლო თავად არასრულწლოვანი ძალიან მგრძობიარეა მის გარშემო არსებული ემოციური კლიმატის და მიმდინარე მოვლენების მიმართ. ზოგადად, არასრულწლოვან დამნაშავეებს, გამონაკლისის გარდა, სრულწლოვან დამნაშავეთაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის მთლიანად სრულყოფილად გაცნობიერება, რაც ზოგიერთი მოზარდის მცირე ასაკის ან არასაკმაო ინტელექტუალური მომზადების ან გამოუცდელობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ (სასამართლომ, პროკურატურამ) პოზიტიური როლი ითამაშოს არასრულწლოვანი დამნაშავე პირების



ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობასა და მათი რესოციალიზაციის მიზნით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება (რომელიც მართალია არის სავსებით კანონიერი ქმედება იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩაიდინა დანაშაული) და აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე კონკრეტული ფორმის შერჩევა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და გამოყენებული, ნებისმიერი ღონისძიება ყველა შემთხვევაში იყოს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედების თანაზომიერი (პროპორციული), ხოლო უპირატესობა ყოველთვის მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას, რათა უპირველესად გათვალისწინებული იქნას არასრულწლოვნის მომავალში სათანადოდ აღზრდისა და მისი საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბების შესაძლებლობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის თავისებურებებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის პროცესში გამოკვლეული უნდა იქნას მისი ცხოვრების, აღზრდის, განვითარების პირობები, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვანის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო, ამავე კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად კი, არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე ეპყრობიან განსაკუთრებული ყურადღებით. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სავალდებულოა არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა.

საგამომიებო კოლეგია, აგრეთვე ყურადღებას მიაქცევს გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციაზე (საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილიდან), რომლის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. ხოლო, ამავე კონვენციის მე-40 მუხლი მიუთითებს, რომ მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მის რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის შესრულებას.

აქვე საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე, ქმედების ხასიათი თუ ბრალდების მარის მიერ მითითებული სხვა გარემოებები, ცალკეულ შემთხვევებში არ არის გადამწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას და არ არის აუცილებლად ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა. არამედ, ისინი ბრალდებულის პიროვნების, წარსულის, ასაკის, მოსალოდნელი სასჯელის ზომისა და შედეგების გათვალისწინებით საქმის სხვა არსებით გარემოებებთან ერთად, ერთობლიობაში შეფასების შედეგად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე.



კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაში მითითებული, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მიმალვის საფრთხეები არ არის იმ სტანდარტით დასაბუთებული, რომ აღნიშნული საკმარისი იყოს ბრალდებულის მიმართ მხოლოდ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ბრალდებული არის არასრულწლოვანი, სრულად აღიარებს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას, გულწრფელად ინანიებს მას, არ არის წარსულში ნასამართლევი ან/და შემჩნეულნი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, იზრდება ოჯახურ გარემოში (მამასთან, დასთან და ბებიასთან ერთად), ხასიათდება დადებითად, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ ჰქონია, არის გაწონასწორებული და ინტელექტუალურად განვითარებული პიროვნება, რაც ერთობლიობაში მნიშვნელოვნად ამცირებს მოსალოდნელ საფრთხეებს და ასაბუთებს მოცემულ შემთხვევაში ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას. რაც შეეხება, თავად ბრალად შერაცხულ ქმედებას, რომლის გათვალისწინებითაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა ბრალდებულის არა ადეკვატურ ხასიათზე, მასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოძალვის ზემოაღნიშნული ფორმა ამ შემთხვევაში წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ხერხს, რაც თავისი ხასიათიდან გამომდინარე თავისთავად წარმოადგენს არა სათანადო ქცევას, თუმცა ამავე დროს საყურადღებოა, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენის სუბიექტი არის სწორედ არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელსაც თავისი ასაკის გამო სრულწლოვანი პირისაგან განსხვავებით, მიუხედავად მისი ინტელექტუალური განვითარებისა, სრულფასოვნად მაინც არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედების არამართლზომიერი ხასიათი და მოსალოდნელი შედეგები. შესაბამისად, ბრალდებულის არა ადეკვატურობაზე ცალსახად მითითება უსაფუძვლოა, მითუმეტეს, რომ ამის საფუძველს არ იძლევა სხდომაზე ბრალდებულის ქცევა, მისი ქმედება ურთიერთობისას სწორედაც ადეკვატური, გაწონასწორებული და მიზანმიმართულია და უფრო მეტიც, არ არის შესწავლილი და საქმეში არ მოიპოვება ბრალდებულის პიროვნების შესახებ ფსიქოლოგიური პორტრეტის დამახასიათებელი რაიმე გარემოება, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა არსებობდა, ვინაიდან ბრალდებულის დაკავებას უშუალოდ ესწრებოდა კიდევ ფსიქოლოგი, რომელსაც უნდა შეჰქმნოდა მასზე გარკვეული წარმოდგენა და ფსიქოლოგის მიერ მისი პიროვნების დახასიათების შემთხვევაში, აღნიშნულს, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ბრალდებულის პიროვნებისა და მოსალოდნელი რისკების ხარისხის სხვაგვარად შეფასებისათვის სასამართლოს მხრიდან. ამიტომ, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მხოლოდ ბრალდების მხარის და სასამართლოს მოსაზრება ბრალდებულის პიროვნების არა ადეკვატურობის შესახებ არ არის საკმარისი ფაქტორი მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ეტაპზე აუცილებლად პატიმრობის შეფარდებისათვის.

საგამოძიებო კოლეგია აქვე აღნიშნავს, რომ არ არსებობს ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა განადგურებისა და პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედების რეალური საფრთხეები. საქმეზე შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები და ბრალად წარდგენილ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით ფაქტურად გამოძიება არის დასრულებული. ამასთან, ბრალდებული დაკავების მომენტიდანვე აღიარებს შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენას, რითაც ფაქტობრივად თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ამ შემთხვევაში, ბრალდების მხარისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, მითითებული საფრთხეების არსებობა არ არის იმ სტანდარტით დასაბუთებული, რომ მოცემულ საქმეზე არსებობდეს ბრალდებულის მიმართ აუცილებლად პატიმრობის გამოყენების საჭიროება და მოსალოდნელი რისკები არ არის იმ ხარისხის, რომ ერთობლიობაში შეფასებით, ცალსახად, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, აშკარად გადაწონოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5



მუხლით გარანტირებული, პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების უფლება და საქმეში არსებული რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით უდავოდ დაადასტუროს პირის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობა და გარდაუვალობა.

საგამოძიებო კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ გირაო - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის შესაბამისად, არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება, რომელიც შეაქვს ბრალდებულს მისი სახელით ან მის სასარგებლოდ სხვა პირს სასამართლოსათვის მიცემული წერილობითი ვალდებულებით ბრალდებულის სათანადო ქცევისა და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში დროულად გამოცხადების უზრუნველყოფის თაობაზე. ამასთან, თუ ბრალდებულმა, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეულია გირაო, დაარღვია ამ ღონისძიების გამოყენების პირობა ან კანონი, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. ამავე განჩინებით გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო უძრავი ქონება გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიიქცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან 1 თვის ვადაში სრულად დაუბრუნდება გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა (გირაოს შემტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით) და უძრავი ქონება, თუ ბრალდებული ზუსტად და კეთილსინდისიერად ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით, მოცემულ საქმეზე არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა, არის ზედმეტად მკაცრი, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულის მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა კი ქმედების ხასიათიდან გამომდინარე (ახალი დანაშაულის ჩადენისა და მინიმალური საფრთხეების გათვალისწინებით) სრულად ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულ ბ. ტ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება, ჩადენილი ქმედების ხასიათის, დანაშაულის სიმძიმის, ბრალდებულის ასაკის, მისი ოჯახის ქონებრივი შესაძლებლობებისა (იმის მხედველობაში მიღებით, რომ მამა არის დასაქმებული, გააჩნია უძრავი ქონება და დამატებითი შემოსავალი) და სხვა ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, არის ბრალდებულის ნორმალური ქცევის გარანტი და მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური. ამ შემთხვევაში საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბ. ტ.-ს ქცევის კონტროლის მიზნით აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს მითითებული ოდენობით გამოყენება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ დამატებით ღონისძიებებთან ერთად, სრულად უზრუნველყოფს შესაძლო, მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილებას, რაც მოიცავს ბრალდებულის სათანადო ქცევის კანონისმიერი შეზღუდვის გამართლებულ რისკს და არის ბრალდებულის არასათანადო ქცევისათვის რეალურად შემაკავებელი ხასიათის. მითუმეტეს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის, გამოძიებისათვის ხელის შეშლის ან მინიმალური შემთხვევაში ბრალდებულისათვის ცნობილია გირაოს უზრუნველსაყოფად გამოყენებული ფულადი თანხის ან/და უძრავი ქონების შემდგომი ბედი, რაც მისთვის დამაფიქრებელი და მისი ქცევის კონტროლის დამატებითი გარანტიაა.



კონკრეტულ შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება, სრულად ესადაგება, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საერთო სასამართლოების არსებულ პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და გამომდინარეობს შესაბამის პრეცედენტებში განმტკიცებული სტანდარტებიდან.

რაც შეეხება დამატებით ღონისძიებებს (ვალდებულებებს), სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებასთან ერთად, მიზანშეწონილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული დამატებითი ღონისძიებების გამოყენებაც, რაც აღკვეთის ღონისძიებასთან ერთობლიობაში სრულად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. ხოლო, კონკრეტულ ღონისძიებებთან მიმართებაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულ ბ. ტ.-ს, დამატებითი ღონისძიების სახით უნდა დაევალოს საქმეზე წინასასამართლო სხდომამდე კვირაში ორჯერ საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება ანგარიშგების ვალდებულების შესასრულებლად და ასევე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირადობის დამადასტურებელი მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის ეროვნული პასპორტის საგამოძიებო ორგანოსათვის ჩაბარება.

აქვე, გირაოს თანხის ოდენობასთან დაკავშირებით, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ განსაზღვრული თანხა არის გონივრული იმისათვის, რათა ბრალდებულს (ან მისი სახელით სხვა პირს) შეეძლოს მისი გადახდა ან უზრუნველყოფა, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუსაბამოდ მაღალი გირაოს ოდენობის დადგენა ვერ იქნება გამართლებული, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს, ვინაიდან თავიდანვე იქნება მოლოდინი იმისა, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს გადახდას და ამით, ხელოვნურად შევუწყობთ ხელს მისი სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ - რამდენად წარმოადგენს გირაოს თანხის დაკარგვა ან თავდები პირის მიმართ საქმის აღძვრა მისი გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მიმალვის სურვილის საკმარის შემაკავებელ ფაქტორს (Neumeister v. Austria, Iwanczuk v. Poland). საყურადღებოა ისიც, რომ გირაოს შესაძლო სიმძიმის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას იგივე გულმოდგინების ვალდებულება დააკისრა სახელმწიფოებს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას (Schertenleib v. Switzerland, Iwanczuk v. Poland). შესაბამისად, ამ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმესთან ერთად საგამოძიებო კოლეგია ითვალისწინებს ბრალდებულის ოჯახის ქონებრივ შესაძლებლობებს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-199-ე, მე-200, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :



1. ბრალდებულ ბ. ტ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. მ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება, ბრალდებულ ბ. ტ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე;
3. ბრალდებულ ბ. ტ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით შეერჩეს გირაო 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით და განთავისუფლდეს პატიმრობიდან დაუყოვნებლივ, სხდომის დარბაზიდან;
4. გირაოს შეტანის ვადა განსაზღვროს 20 (ოცი) დღით ამ განჩინების გამოტანის მომენტიდან და გირაო შეტანილი იქნას სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ანგარიშზე: სს „ს. ბ.“ კოდი BAGAGEXX, ანგარიში #GEXXBGXXXXXXXXXXXXXXXXXX;
5. ბრალდებულს ან მის სასარგებლოდ სხვა პირს უფლება აქვს გირაოს თანხის ნაცვლად შეიტანოს ფულადი თანხის ეკვივალენტური უძრავი ქონება. თუ გირაო დადგენილ ვადაში არ იქნება შეტანილი ან უზრუნველყოფილი ეკვივალენტური უძრავი ქონებით, პროკურორის შუამდგომლობით შესაძლებელია გირაო შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით;
6. გირაოს გამოყენების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში ან თუ გირაო უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, თანხის ამოღების მიზნით უძრავი ქონება აღსასრულებლად მიიქცევა კანონით დადგენილი წესით;
7. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, დამატებით გამოყენებული იქნას ბრალდებულ ბ. ტ.-ს ვალდებულება, წინასასამართლო სხდომამდე, კვირაში ორჯერ სამუშაო საათებში (სკოლაში სწავლის პერიოდის გათვალისწინებით) გამოცხადდეს საგამოძიებო ორგანოში (გამომძიებელთან, პროკურორთან), ამ უკანასკნელის მიერ განსაზღვრულ დროს;
8. აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, გამოყენებული იქნას ბრალდებულ ბ. ტ.-ს ვალდებულება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და საქართველოს მოქალაქის ეროვნული პასპორტი მოთხოვნისთანავე ჩააბაროს საგამოძიებო ორგანოს (გამომძიებელს, პროკურორს);
9. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ოქმის გაფორმება უზრუნველყოს პროკურორმა;
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გიორგი გოგინაშვილის 2015 წლის 19 თებერვლის განჩინება სხვა დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
11. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოს და გადაეცეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
12. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



მოსამართლე

გიორგი მირიჭაძე